

Sermon 20.06.2021- (georgian)

„ქრისტიანის სულიერი ცხოვრება“

„უფალო... მოგვმადლე ჩვენ შიში შენი ნეტარი მცნებებისა და ხორციელი ვნებები აგვაშორე, სულიერ არსებობას გავივლით, ყველაფერს, თუ არის ნება შენი, ბრძნული და ბოძებული.“ ყველა დანარჩენი სიტყვების მსგავსად ეს შინაარსია მოცემული ლოცვაში, რომელსაც აღავლენს ღმრთისმსახური წმინდა სახარების კითხვის წინ.

ეს ლოცვა გვიჩვენებს, რომ მიზანი წმინდა სახარების კითხვისა არის მორწმუნეების დახმარება მიიღონ უფლის მცნებები მოწიწებითა და პატივისცემით, რომ ჰქონდეთ სურვილი შეასრულონ ის. მცნებების დამორჩილებით კი მორწმუნეებმა უნდა მიიღონ დახმარება ხორციელი და სხვა ვნებების გასამარჯვებლად და გაატარონ სულიერი ცხოვრება-რომ ის, რასაც ფიქრობენ და აგრეთვე ის საქმეები, რომლებსაც აკეთებენ, იყოს ღმრთისადმი სათნო.

როგორც ხედავთ, არც თუ ისე ბევრ ლოცვის სიტყვებში ჩვენ წინ იხსნება მართლმადიდებელ მორწმუნის სულიერი ცხოვრების დიაგრამა, რომელსაც მიჰყავს ის სიწმინდისა და ნეტარებისკენ.

სულიერი ცხოვრების თემას დიდი მნიშვნელობა აქვს და მას ეკლესიის სულიერი მამები დიდ ყურადღებას აქცევენ, რომლებიც პირადი გამოცდილებიდან გვცხმარებიან იმის გაგებაში, თუ რა არის ნამდვილი სულიერი ცხოვრება და როგორ მივაღწიოთ მას. განვიხილოთ წმინდა მემკვიდრეობა რომელიც ეხება ასეთ მნიშვნელოვან თემას ჩვენი გადარჩენისა.

პირველი და მთავარი, ის რაც უნდა ვიცოდეთ, ეს ისაა, რომ რამდენი გმირობაც არ უნდა ჩავიდინოთ, მარტოდ მარტო, ჩვენთვის, ჩვენ ვერ წავიწევით წინ სულიერ ცხოვრებაში. სიტყვა „სულიერი“ მიგვითითებს მის კავშირზე სულთან, ანუ წმინდა სულთან, რომელიც არის „განში სიკეთისა და ცხოვრების მომცემელი“, გვაძლევს ჩვენ სულიერ ცხოვრებას. ამიტომ ჩვენი პირველი მიზანი უნდა იყოს წმინდა სულთან შეერთება. სწორედ ამიტომ ჩვენი ეკლესიის ყველა ღვთისმსახურება და ჩვენი პირადი ლოცვები იწყება წმინდა სულისადმი მოწოდებით: „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო... მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის...“

ჩვენ შევთხოვთ სული წმინდას, რომ არა მარტო მოვიდეს, არამედ ყოველთვის დაგვიფაროს და დარჩეს ჩვენს გულებში. სხვაგვარად რომ

ვთქვათ, სწორედ ესაა ქრისტიანული ცხოვრების მიზანი. სერაფიმე საროველის სიტყვებით: „სული წმინდის მოწვევა, მის გარდამოსვლას წმიდა მოციქულებზე ჩვენ აღვნიშნავთ სულთმოფენობის დღეს." ამ მიზნის მისაღწევად ეკლესია გვცხმარება წმინდა საიდუმლოებების საშუალებით. აგრეთვე ჩვენც ვცდილობთ ლოცვით, მონანიებით და ყველა ჩვენი საქმეებით. და რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ჩვენ უნდა გავაკეთოთ არა ძალდატანებით. როდესაც ჩვენ სულიერ ბრძოლაში ვგრძნობთ სტრესს, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ არ მივყვებით უფლის ნებას. ღმერთი არასდროს არ გვაიძულებს. მას სურს, რომ მას გავყვეთ სიხარულით. განმანათლებელი ნეტარი ეგინელი გვირჩევს: „ეცადეთ შეინარჩუნოთ თქვენს გულებში სული წმინდის სიხარული."

თუმცა-ღა სული წმინდა რომ შემოვიდეს ჩვენს გულებში, ის უნდა იყოს სუფთა ცოდვილი ვნებებისაგან, ისეთებისაგან, როგორიცაა ეგოიზმი, მტრობა, განკითხვა, ხორციელი ვნებები და ასე შემდეგ. წმინდა ბასილი დიდი გვასწავლის, რომ „როგორც კვამლი აფრთხობს ფუტკრებს, ასევე მძიმე ცოდვა დევნის სული წმინდას." ამიტომ სული წმინდისადმი მიმართულ ლოცვაში ჩვენ შევთხოვთ: „წმინდა-მყვენ ყოვლისაგან ბიწისა" (იმ სიბილწისაგან, რომელსაც ცოდვა იზიდავს). რა თქმა უნდა ჩვენ შეგვიძლია აღვმართოთ ჩვენს გულებში მონანიება და მორჩილება, მაგრამ ჩვენი შინაგანი სამყაროს განწმენდა მხოლოდ სული წმინდას შეუძლია.

ასეთია მცნებები სული წმინდის შესაძენად, ჩვენს გულებში რომელიც გვამლევს ტკბობის ნაყოფს. რომელსაც აღწერს პავლე მოციქული გალატელთა მიმართ სიტყვაში სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება, სიტკბოება, საზიერება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება (გალ. 5:22-23). ამ სულიერი საშუალებით და შთაგონებებით, განათლებით და სული წმინდის ხელმძღვანელობით ქრისტიანი იღებს სულიერი ცხოვრების სიტკბოებას და აღწევს თავის საბოლოო მიზანს, რომელსაც წარმოადგენს სიწმინდე და ღმერთთან შეერთება (განღმერთება).

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ვინაიდან დღეს, მუხლმოდრეკილები, ჩვენ აღვაველეთ უფლის წინაშე სულთმოფენობისადმი მიძღვნილ ლოცვას, შევთხოვთ მთელი ძალით სული წმინდას, რათა დაემკვიდროს ჩვენს შორის, და ცეცხლოვანი ენების სახით განგვწმინდოს, განგვანათლოს და გაგვითბოს გულები, და გახდეს ჩვენი გზის მანათლებელი.

ამინ!